ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 მარტი, შაბათი, 1990 წ.
№ 51 (10 220) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ქველმოქმედება

რასაცა გასცემ...

საქართველოს სპორტსახკომმა და ჰიდაობის გაერთიანებამ კუმანური გადაწყვეტილება მიიღეს

ბოლო ხანს გამოფხიზლების გზაზე დამდგარმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ ირგვლივ მიმოიხედა და ფაქტობრივად ცხოვრების მრავალ სფეროში კატასტროფის პირას მისულ რესპუბლიკასთან ერთად ბევრი გაჭირვებული და უპოვარი მისი მცხოვრები — თავისი თანამემამულე დაინახა. მართალია, სხვისი ჭირის გაზიარება არასდროს, ყველაზე დიდი ძნელბედობის ჟამსაც კი არ ავიწყდებოდათ საქართველოში, მაგრამ ხალხი ამჯერად გასაჭირში ჩავარდნილთა რიცხვმა გააოგნა.

ქველმოქმედება... ეს სიტყვა სულ უფრო და უფრო ხშირად ქღერს და მისი საქმედ ქცევა ნაწილობრივ მაინც ავსებს არსებული სოციალური უსამართლობის უამრავ ნაპრალს. ასეთი საქციელის ღირებულება მით უფრო შეტია, რომ უნდა მოიკლო და სხვას მისცე, ზედმეტი კი, ჩვენს გაჭირვებულ დროში, მხოლოდ უზომოდ გასუქებულ „დიდ“ უმცირესობას აქვს.

რამდენიმე დღის წინ, კერძოდ, 12 მარტს, გაზეთ „ლელოში“ დაიბეჭდა პატარა წერილი („ისიც სარეცელსაა მიჯაჭვული“), რომელშიც მოთხრობილი იყო ორი ახალგაზრდა მოჰიდავის მძიმე ხვედრზე. გიგა რთველიაშვილმა და ამირან აბუაშვილმა შეჯიბრებებზე მძიმე ტრავმები მიიღეს და ახლა ეს ორი ახალგაზრდა საწოლსაა მიჯაჭვული (რთველიაშვილზე უფრო ადრეც გამოვაქვეყნეთ წერილები).

აღნიშნული სტატიის დაბეჭდვიდან სულ რაღაც სამი დღე გავიდა და საქართველოს სპორტსახკომდან მივიღეთ წერილი, რომელმაც, გულწრფელად გეუბნებით, მართლაც ძალიან გაგვახარა. გაგვახარა არა ჩვენი სპორტსახკომის ოპერატიულობამ, არამედ თვით წერილის შინაარსმა, რომელიც აქვე მოგვყავს:

„გაცნობებთ, რომ ახალშექმნილი ჰიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებით, ძიუდოისტებს გიგა რთველიაშვილს და ამირან აბუაშვილს, რომლებმაც ასპარეზობაზე მძიმე ტრავმა მიიღეს, ამა წლის 1 მარტიდან მათს სრულ გამოჯანმრთელებამდე დაენიშნათ ყოველთვიური დახმარება თითოეულს ასი მანეთის ოდენობით. რაც შეეხება რთველიაშვილის ბინით უზრუნველყოფას, საქართველოს სპორტსახომმა განიხილა აღნიშნული საკითხი და გადაწყვიტა მას საკუთარი ფონდიდან მისცეს ბინა, როგორც კი ქალაქის აღმასკომი თავის გადაწყვეტილებას გვაცნობებს.

გაერთიანების დირექტორი ო. შოშიტაშვილი“.

თქვენც დაგვეთანმებით, პატივცემულო მკითხველო, რომ ასეთი გადაწყვეტილება ყველას გაახარებდა. ჰიდაობის ახალშექმნილი სამმართველო, ცხადია, სოცუზრუნველყოფის განყოფილება არ არის და მეტად სასიხარულოა, რომ ორგანიზაციამ თავისი დანაზოგებიდან მონახა საშუალება დახმარებოდა გასაჭირში ჩავარდნილ ფალავნებს, ისევე, როგორც სპორტსახკომმა.

ჯერი ახლა სხვა ორგანიზაციებზეა (მაგალითად, სამედიცინოზე), რათა სპორტსმენთა მკურნალობა სათანადო გზით წარიმართოს.

შეიქმნა მკლავჭიდელთა დამოუკიდებელი ფედერაცია

ოთხშაბათს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს მკლავჭიდელთა ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა.

სპორტკლუბ „მიმინოს“ პრეზიდენტმა, დოცენტმა ოთარ მიმინოშვილმა შესავალ სიტყვაში ილაპარაკა იმ დიდ პოპულარობაზე, რომელიც მკლავჭიდმა სულ მოკლე ხანში საქართველოში მოიპოვა და ამდენად, მისი რესპუბლიკური ფედერაციის შექმნა სრულიად აუცილებელი გახდა. შემდეგ დელეგატებს გააცნეს ფედერაციის წესდება, რომელიც განიხილეს და მცირეოდენი შესწორებებით მიიღეს კიდეც. მკლავჭიდის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარემ ვახტანგ მუსელიანმა ილაპარაკა ფედერაციის ამოცანებისა და პერსპექტივების შესახებ. ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა კვალიფიცირებული მსაჯების მომზადების საკითხი იქნება. ეს ფრიად საყურადღებოა, რადგან საერთაშორისო შეჯიბრებებშიც კი მსაჯების მოქმედება დიდ დავას იწვევს ხოლმე. საქართველოს მკლავჭიდელთა ფედერაცია დამოუკიდებელია და თავის ამოცანად ისახავს მკლავჭიდელთა საერთაშორისო ფედერაციაში უშუალოდ შესვლას. ცხობისთვის ითქვა, რომ მკლავჭიდელთა საკავშირო ფედერაცია არ არსებობს — არის მხოლოდ ორი ორგანიზაცია რუსეთში, რომელთაც ერთმანეთთან ერთობ სუსტი კავშირი აქვთ. მწვრთნელმა ედიშერ გიორგაძემ სურვილი გამოთქვა, დაარსდეს ფედერაციის ბეჭდვითი ორგანო.

ახალ ფედერაციას საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის სახელით მიესალმა ვანო ყიფიანი.

დასასრულ, ჩატარდა ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. მკლავჭიდელთა დამოუკიდებელი ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულია შოთა ლომაძე, ვიცეპრეზიდენტებად — ჯაბა იოსელიანი და ლევან დავლაძე, გენერალურ მდივნად — დავით ტუღუში, აირჩიეს ფედერაციის პრეზიდიუმი და საბჭო.

ყრილობამ გამოიტანა დადგენილება, ეთხოვოს საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს სცნოს ახალი დამოუკიდებელი ფედერაცია.

ფოდეგის მინიჭება

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა **ხაკავშირო კატეგორიის მსაჯის** წოდება მიანიჭა სპორტულ ტანვარჯიშში — იუზარ ონანშვილს (თბილისი, „მართვე“).

ლიტვის სპორტული ორგანიზაციების გადაწყვეტილება

ლიტვის წარმომადგენლები აღარ მიიღებენ მონაწილეობას სსრ კავშირის ჩემპიონატებში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ოთხშაბათს, 14 მარტს, ლიტვის სახელმწიფო სპორტკომიტეტმა და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა.

ამ გადაწყვეტილების მიღება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ლიტვის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა ამ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენა.

გადაწყდა აგრეთვე, რომ ლიტველმა სპორტსმენებმა თავი შეიკავონ სსრ კავშირის ყველა ნაკრებში მონაწილეობისაგან, რადგანაც როგორც ეს გადაწყვეტილებაშია ნათქვამი, ამიერიდან მათ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში და წლევანდელ კეთილი ნების თამაშებში (სიეტლი, აშშ) ამ გუნდების შემადგენლობებში.

ამასთანავე გამოითქვა სურვილი, სსრ კავშირის სპორტულ ორგანიზაციებთან სპორტული კონტაქტების გაგრძელების შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის ჩემპიონატებში და სხვა დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს ასპარეზობები ჩატარდება „ღიად“ და მონაწილეობის მისაღებად მიიწვევენ ლიტველ სპორტსმენებს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი— „უჟალგირისოდ“

ლიტვის სპორტსახკომისა და ოლიმპიური კომიტეტის მიმართვის შესაბამისად, რომ ამ რესპუბლიკის სპორტსმენებმა მონაწილეობა არ მიიღონ სსრ კავშირის პირველობებში და არც საკავშირო ნაკრებ გუნდებში, ვილნიუსის „ჟალგირისმა“ შეწყვიტა გამოსვლები სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში. 17 მარტისთვის დაგეგმილი მატჩი „ჟალგირისსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის გაუქმებულია.

ამასთან დაკავშირებით „ჟალგირისის“ მთავარმა მწვრთნელმა ბენიამინას ზელკიავიჩუსმა განაცხადა:

— ჩვენ საკუთარი დამშვიდებული შეეხვდით ლიტვის სპორტული ორგანიზაციების გადაწყვეტილებას. ლიტვის დამოუკიდებლობის აღორძინების თაობაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული აქტის შემდეგ ლოგიკური არ იქნებოდა სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობა. მაგრამ ის კი საფიქრებელი გვაქვს, როგორი იქნება ლიტვის სპორტული ორგანიზაციების შემდგომი სტარტები. ჩვენი გუნდი კარგად მოემზადა სეზონისთვის, ფეხბურთელები საბრძოლველად იყვნენ გაწყობილი და რა დასამალია, რომ ენთუზიაზმს სრულიადაც არ იწვევს ის ამბავი, რომ მონაწილეობას ვერ მივიღებთ უეფა-ს თასის გათამაშებაში. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ალტერნატიული შეჯიბრებები. მონაწილეობა რომ მივიღოთ ლიტვის ჩემპიონატში, სხვა გუნდების ოსტატობა გაცილებით ჩამორჩება, ეს ვითარება დიდად იმოქმედებს მაყურებელთა დასწრებაზე და კლუბის ფინანსურ მდგომარეობაზე.

მოსკოვის „დინამოს“ ნაცვლად ვილნიუსელი ფეხბურთელები თავიანთ მინდორზე შეხვდებიან კლაიპედის „ატლანტასს“, რომელიც სსრ კავშირის ჩემპიონატში მეორე ლიგაში გამოდიოდა.

25 მარტისთვის განზრახული გვაქვს ამხანაგურ მატჩში შეეხვდეთ თბილისის „იბერიას“ (ყოფილი „დინამო“).

(საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან: ჩვენ მივესალმებით „ჟალგირისის“ ფეხბურთელთა გადაწყვეტილებას. იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში ლიტვისა და საქართველოს ფეხბურთელები ერთმანეთს ეროვნული ნაკრებების დონეზეც შეხვდებიან.

INTERNATIONAL TRADITIONAL KARATE FEDERATION
1930 Wilshire Blvd., Suite 1208
Los Angeles, California 90057, U.S.A.
Cable: INTAKARATE, Los Angeles

Receipt 0024

Date March 11, 1990

Received of Georgian Traditional Karate Federation $ 500.00
Five Hundred & no/100 Dollars
for items specified hereon.

Membership Fee	$ 300.-
Initiation Fee	$ 200.-
	$
	$
TOTAL	$ 500.00

INTERNATIONAL TRADITIONAL KARATE FEDERATION

„ლელოს“ მკითხველებს უკვე ვაუწყეთ, რომ სულ ახლახანს საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაცია გაერთიანდა საერთაშორისო ფედერაციაში. საერთოდ მიღებულია, რომ ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობის დამადასტურებელია საწევრო შენატანი. გუშინ რესპუბლიკის სპორტსახკომიდან სწორედ ეს დოკუმენტი მოგვაწოდეს, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

პერუს დედაქალაქში გამართულ კონგრესზე ოფიციალურად ჩვენი აღიარების შემდეგ საქართველოს დელეგაციამ შეიტანა, როგორც ერთდროული საწევრო 300 დოლარი და ყოველწლიური შენატანის 200 დოლარი 1990 წლისათვის.

კიდევ ერთი ფალავანი—ზესტაფონიდან

ერთგვარი რეკორდი დაამყარა ზესტაფონელმა ძიუდოისტმა კობა გურეშიძემ ქალაქ ლუცკში გამართულ „შრომითი რეზერვების“ ხაკავშირო პირველობაზე.

კობამ ცხრა შეხვედრა ჩაატარა და მეტოქეთა დამარცხებას... 5 წუთზე ნაკლები დრო მოანდომა, ე. ი. იმაზე ნაკლები, რაც დებულების მიხედვით ერთი შეხვედრისათვის არის განკუთვნილი, კობა გურეშიძე (მწვრთნელი ჯონი ჯანიაშვილი) ლუცკში „მართვეს“ სახელით ასპარეზობდა და ორი პირველი ადგილი მოიპოვა მძიმე და აბსოლუტურ წონითს კატეგორიებში.

თავი გამოიჩინა „მართვეს“ მთელმა გუნდმაც, რომელმაც 43,5 ქულით უძლიერესის სახელი მოიპოვა და 10 ქულით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული რსფსრ-ის კოლექტივი.

კ. გურეშიძის გარდა ჩვენი გუნდის წევრებიდან პირველი ადგილები დაიკავეს გოგიტა მანთაშაშვილმა (56 კგ) და თამაზ მუთოშვილმა (78), ხოლო გელა ღელაღუტაშვილი (60), კახა ბერუაშვილი (71), ბაკურ ზურაბიანი (78), ავთანდილ ზუბიტაშვილი (86) და ბესიკ მათიკაშვილი (95) მესამე ადგილებზე გავიდნენ (ლუცკში გამოდიოდნენ 18_20 წლის მოჭიდავეები).

ჩვენი გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა: ვახტანგ კბილაშვილმა, ვაჟა ბალხამიშვილმა და გოჩა მაჭარაშვილმა.

იქვე, ლუცკში, ასპარეზობდნენ 16-18 წლის გოგოებიც, რომელთა შორის მეორე ადგილი დაიკავა ნინო მირუაშვილმა (61 კგ).

ცხენოსნობა რომ არ დაზარალდეს



თბილისმა კვლავ უმასპინძლა (ზედიზედ მეორედ) ამიერკავკასიის თასის გათამაშებას ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში (პირადი პირველობა); რახან ეს ზონალური ასპარეზობა „ღიაა“, ამიტომ მასში ჩრდილო კავკასიის ცხენოსნებმაც, კერძოდ, სტავროპოლის საცხენოსნო სკოლის სპორტსმენებმაც მიიღეს მონაწილეობა; აზერბაიჯანი ორი გუნდით (I და პროფკავშირების ნაკრებით) იყო წარმოდგენილი; მასპინძელთაგან მონაწილეობდნენ გულრიფშის, ოჩამჩირის, გალის, ფოთის, ქუთაისის, რესპუბლიკის სპორტსახკომის თბილისის საცხენოსნო ბაზისა და განათლების სამინისტროს რესპუბლიკური ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მხედრები და ცხენები. ამდენად შეჯიბრება საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო — „გახსნის პრიზზე“ (დაბრკოლებათა გადალახვა) 29 ცხენ-მხედრის წყვილი გამოვიდა სტარტზე, ამავე სახეობის უძნელეს და მთელი ასპარეზობის ბოლო შეჯიბრებაზე — „ამიერკავკასიის თასზე“ — 20, სამჭიდში (უფროსი ასაკის ცხენები) — 22.

დღეს (რამდენადაც ამის საშუალებას მთელი ქვეყნის საერთო მდგომარეობა იძლევა) ცხენოსნობასა და მეცხენეობაში საკმაოდ გავრცელდა ახალი გზების ძიება, რომელიც მიმართულია ორივე დარგის მყარი ეკონომიკური საფუძვლების შესაქმნელად, მეცხენეობის რენტაბელობის გასაზრდელად, ამ საქმის სპეციალისტების, მწვრთნელების, სპორტსმენების პროფესიული ცოდნის, ოსტატობის ასამაღლებლად მათი მატერიალური სტიმულირების უზრუნველსაყოფად. ამ პრობლემათა ჯაჭვში, ცხადია, ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ცხენოსნობაში მოყვარულთა და პროფესიონალთა სტატუსების დადგენა-ჩამოყალიბება (XIX ს. თბილისური ნათქვამის არ იყოს — „ვინც ცხენს ინახავს და ვისაც ცხენი ინახავს“). მაგრამ რა კავშირი აქვს ყოველივე ამას ჩვენს ასპარეზობასთან? თუკი ამოსავალი იქნება, რომ ყოველი საქმის გაუმჯობესებას, ახალ გზებზე დაყენებას მაღალი კვალიფიკაციის ხალხი სჭირდება, ხოლო სპორტსმენის, მწვრთნელის კვალიფიკაციისათვის შეჯიბრებების მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაშინ აღარც დაგვჭირდებოდა ნაცნობი ჭეშმარიტების განმეორება.

ამ ასპარეზობაზე (კერძოდ, სამჭიდსა და „ამიერკავკასიის თასის“ ორჰიტიან დაბრკოლებათა გადალა-

იხ. მე.2 გვ.

ცხენოსნობა რომ არ დაზარალდეს

(დასასრული)

ხვაში) სპორტის ოსტატის ნორმა 9 მონაწილემ დასძლია, ამათგან მხოლოდ ორნი იყვნენ ამ წოდების მფლობელნი და მათ ნამდვილად შეეფერებოდათ კიდეც ლიდერის როლი. განსაკუთრებით წარმატებით გამოვიდა სამჯიდელი ოთარ ნარმანია. ოჩამჩირის გუნდის საცხენოსნო კლუბის 32 წლის მთავარი მწვრთნელი, რომლის ნაყოფიერ მუშაობაზე ამ გუნდის სტაბილური მიღწევებიც კარგად მეტყველებს, დღეს რესპუბლიკის ერთი უძლიერესი სამჯიდელია. ასევე საუკეთესოა მისი 8 წლის ინგლისურ-თრაკენული ულაყი პოდოლსკი (კიროვის სახ. ცხენსაშენი), რომელიც 2 წლის ასაკიდან ოჩამჩირეშია; სახელმწიფო იპოდრომების ცხენთგამოცდა არც გაუვლია: „ჩვენ თვითონ ვაჭენებდით, ჩვენს შეჯიბრებებზე. ასე გახდა ოთხი წლის, და რომელიღაც ასპარეზობაზე, როცა ერთ დღეს ჯერ ცხენბურთი ითამაშა, მერე კონკურში იხტუნა და ბოლოს კი 3 კმ-იანი დოღიც მოიგო, აი მაშინ კი ვთქვი, ეყოფა ასეთი უღმერთო ხედვნა, სამჯიდისთვის უნდა მოვამზადო-მეთქი“. სამანეყო სვლის შემდეგ ო. ნარმანიამ მხოლოდ 42,6 საჯარიმო ქულა მიიღო. მას კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ მისივე აღზრდილი 18 წლის მერაბ სამუშია (46,38) და ახერბაიჯანელი ავაზ შაბანოვი (47,22). მეორე დღის საველე გამოცდაზე (გაიოლებული დისტანცია: III და IV მონაკვეთები — „II გზა“ და კროსი — 4150 მ. 18 დაბრკოლება) სამივემ უჯარიმოდ იარა. მესამე დღეს — დაბრკოლებათა გადალახვაში შაბანოვმა უშეცდომოდ იარა, სამუშიამ 1 დაბრკოლება დაანზიანა (5 საჯარიმო ქულა) და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ნარმანია ერთი დაბრკოლების, ან, მით უმეტეს, ცხენის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში (სამჯიდის კონკურში ეს შეცდომა, პირველგზის, 10 ქულით ჯარიმდება) კარგავდა პირველ ადგილს, მაგრამ გამოცდილმა სპორტსმენმა შესანიშნავი სტილით წმინდად გაიარა მარშრუტი. პირველი დღის საჯარიმო ქულები იკმარეს თბილისის ბაზის ცხენოსნებმა ოსტატობის კანდიდატმა, არმიიდან დაბრუნებულმა ხვიჩა ტუსიშვილმა (52,8 — ოსტატის ნორმა; ცხენი ქსარი, მწვრთნელი — შ. ჭაფოძე) და სპორტის ოსტატმა გია ჩომახიძემ (66,6 ტიგრი).

ახალგაზრდა ცხენებით ამ სახეობაში საკმაო უპირატესობით გაიმარჯვა დავით გაგლოევმა (თბილისის ბაზა, 87,9, ბეგლეცი). ოღონდ, რახან მან სტარტზე „დაიგვიანა“ (1 საათით), მსაჯებმა კონკურსგარეშე დაუშვეს (ეს ერთგვარად მსაჯთა კოლეგიის მიერ ამ დაგვიანებაში თავისი „მონაწილეობის“ აღიარებაც იყო). I ადგილი მიეკუთვნა ოსტატობის კანდიდატ რამიზ იბრაჰიმოვს (109,1, ზიგზაგი).

დაბრკოლებათა გადალახვა ორ ასპარეზობად ჩატარდა — „გახსნის პრიზი“ და „ამიერკავკასიის თასი“ (ორ ჰიტად). პირველ შეჯიბრებაში (სიმაღლე 140 სმ-მდე) გამარჯვებულის გამოვლენას სისწრაფეც განსაზღვრავდა, და ბევრმა ვერ შეძლო უჯარიმოდ სვლა და სიჩქარე შეეთანხმებინა ერთმანეთისთვის (ცხადია, აქ წინა მხედრების შედეგიც ახდენდა გავლენას ტაქტიკაზე). გალელმა ზვიად ანჩაბაძემ (რაზბორი) ყველაზე სწრაფად კი გაიარა (61 წამი), მაგრამ 4 ბარიერი დაეზიანა (16 საჯარიმო ქულა), ოსტატურად და სწრაფად იარეს „4-4 ქულიანებმა“ — ალექსანდრე ჭელიძემ (62 წმ, ხორსაჟ., თბილისის საცხენოსნო სკოლა), მჰერ სამველიანმა (66, სტავროპოლი), ჯუმბერ ბერძენიშვილმა (67, დაკარი, თბილისის საცხენოსნო სკოლა), ზაზა გონჯილაშვილმა (68, დიადორი, თბილისის საცხენოსნო ბაზა). მხოლოდ 3 საჯარიმო ქულა ჰქონდა (ცხენის გაურჩებისათვის) გამოცდილ ზუგდიელ ოსტატს ოთარ ჯაფარიძეს (72, ზაეზდნიკი), მაგრამ გამარჯვებულთა სამეული მხოლოდ უჯარიმოებმა შეადგინეს: ოსტატი ოლეგ დადაშევი (71, გრიდენი, აზერბაიჯანი), გულრიფშელი კოჩა თოდუა (კონკურსგარეშე მონაწილე, 76, ფინალი; მწვრთნელი — ა. მოხერი), ოსტატი არმენ თაქმაზიანი (77, ზასტუპნიკი, სომხეთი), გევორქ აკოფიანი (85, ოტისკი, სომხეთი).

ახალგაზრდა ცხენებით „ამიერკავკასიის თასის“ კონკურში გაიმარჯვა თბილისის საცხენოსნო ბაზის მწვრთნელმა, ოსტატმა ვალერი შელიამ (94; 4,25 საჯარიმო ქულა, ლატვიური ჯიშის ულაყი „გრა-

ფიკსი“). თუ გავიხსენებთ, რომ საქართველოს ღია პირველობაზეც (შარშანდელ ოქტომბერს) მან ამავე ცხენით გაიმარჯვა, ეს წარმატებაც მეტ ფასს იძენს. II და III ადგილები წილად ხვდათ სომეხ ოსტატებს გევორქ ოჰანესიანსა და რობერტ თაქმაზიანს.

„ამიერკავკასიის თასის“ გათამაშების სიმძაფრე (უმაღლესი „გ“ კლასი, სიმაღლე — 150 სმ.) მარტის გრიგალმაც ვერ ჩაახშო, თუმც სპორტსმენებსა და მათს ცხენებს, მაყურებლებს, აგრეთვე მსაჯებს (ამაზე ქვემოთ) კი გაუძნელა თავისი საქმე. II ჰიტის შემდეგ, როდესაც საერთო ჯამში ზ. ანჩაბაძეს 12 საჯარიმო ქულა დაუგროვდა, იგი ბოლომდე I ადგილის პრეტენდენტად რჩებოდა, მაგრამ სტავროპოლელი ოსტატის, რუსეთის ნაკრების წევრის მიხეილ ბორზოვის საუკეთესო (ერთადერთი უშეცდომო) გამოსვლის შემდეგ (I ჰიტში მას მხოლოდ 4 საჯარიმო ქულა ჰქონდა) ყველაფერი გაირკვა. ანჩაბაძე მეორე დარჩა, მესამე კი ა. თაქმაზიანი იყო (13,75). საქართველოს გუნდიდან მეორე შედეგი ჰქონდა ოჩამჩირელ ოსტატს თამაზ ჯღარკავას (ფურტი); მან 8-8 საჯარიმო ქულა მიიღო ყოველ ჰიტში. კარგად გამოვიდნენ თბილისის საცხენოსნო სკოლის ჭაბუკები გელა აფციაური (მერკური) და ალექსანდრე ჭელიძე (ზორსაჟი, ორივეს მწვრთნელი — ვ. გოგლიძე), 20-20 ქულით მათ VII-VIII ადგილები მოიპოვეს, ხოლო ჭელიძე, რადგან ერთი ჰიტი მხოლოდ 4 საჯარიმო ქულით განვლო, სპორტის ოსტატობის ნორმასაც შესწვდა. რაც შეეხება ბორზოვს (მწვრთნელი — ნ. იურჩენკო), რომელიც ნახევრად წმინდასისხლიანი ულაყით ასპარეზობდა (მორიაკი), მისი გამოსვლა ნამდვილად სამაგალითო იყო.

გაწვრთნილობაში უმთავრესად საქართველოს სპორტსმენები ასპარეზობდნენ (1 სტუმარი აზერბაიჯანელი იყო). „საშუალო პრიზი № 2“ მოიგო, ქულების ერთობ მაღალი — 73 პროცენტით, ქუთაისელმა ოსტატმა ამირან მესხმა (რუსეთში ახლად შეძენილი, საფუძვლიანად მომზადებული, ასაკოვან იაბო ასკეტით); II — ოსტატი იუნონა კოჟინა (რაფაელი), III ოსტატობის კანდიდატი ირინა კოზინა (ეკერისი) — ორთავე თბილისის საცხენოსნო ბაზის სპორტსმენია. „დიდი პრიზი“ მოიგო ი. კოზინამ, II ადგილიც, ამჯერად ქუთაისის ცხენით, მასვე ხვდა, III იყო გალელი ოსტატი, საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი ჯუმბერ კაპანაძე (ქალობნი).

როგორც ვხედავთ, ასპარეზობა საკმაოდ საინტერესო, არცთუ ხელწამოსაკრავი იყო. . საქართველოს გუნდშიც თითოოროლად ჩნდებიან ახალი საიმედო ცხენ-მხედრები, მყარად დგანან ცალკეული ვეტერანები; საერთოდ ცხენოსნობაში წარმატებები ნელა მოდის და აქ რაიმე უეცარი ნახტომის მოლოდინი არც უნდა გვქონდეს, მაგრამ იქ უბანზე, სადაც საქმის გამოსწორება, გაუმჯობესება ნამდვილად შესაძლებელია, უნდა ველოდოთ კიდეც რაღაც სასიკეთო ნიშანს. ვგულისხმობ ასპარეზობის ორგანიზებას, მსაჯობისა თუ რეკლამირების საკითხს.

შეჯიბრების რადიოფიცირებაზეც არაერთხელ ყოფილა ლაპარაკი (ბევრად ნაკლები მასშტაბის ასპარეზობის დროსაც). ამის მოგვარება გადაუჭრელ პრობლემად რჩება ხშირად. მართალია, საველე გამოცდა იპოდრომის მინდორზე ტარდებოდა, მაგრამ, ცხადია, აქაც შეუძლებელია უფროსმა მსაჯმა რიგიანად წარმართოს შეჯიბრების მიმდინარეობა (თავისი სახმო სიმებისა და ერთადერთი ძველებური ზარხს ბმედზე). იყო ასეთი შემთხვევა: მხედარს ცხენი უჩერდება მორიგ დაბრკოლებასთან (ვთქვათ, „ბანკეტიდან“ ჩახტომისას); უფროსი მსაჯი ცხენის დაყოვნების დროს საკმარისად მიიჩნევს ურჩობის დასაფიქსირებლად (20 საჯარიმო ქულა!), ყვირის კიდეც, ზარს ვერ რეკავს, რათა მომდევნო მხედარმა სტარტის ნიშნად არ მიიჩნიოს; მხედარს, ცხადია, არ ესმის და ცხენს ებრძვის. არადა, რახან განაჩენი უკვე გამოტანილია, სჯობია, რომ უკან გამოაბრუნოს, დაამშვიდოს და ხელახლა წარმართოს დაბრკოლებისკენ... ანდა, დაბრკოლებათა გადასალახავად მოთელვაზე გამოსულ მხედარს მთელი გულისყური ცხენისკენ, დაბრკოლებისკენ უნდა ჰქონდეს მიმართული და არა მსაჯისკენ, ვაითუ, ამ ქარში, სტარტზე გამოძახება გამომეპაროსო. სულ არ გვინდა სურათის გამუქება; ასეთი მდგომარეობა თვით მსაჯებს უძნელებს ნორმალურ მუშაობას, სპორტსმენებს — ასპარეზობას, მაყურებელს — მთელი შეჯიბრებების დინამიზმისა და დაძაბულობის სრულფასოვან აღქმას! მაგრამ, რახან მაყურებელი უმეტესად „შინაურია“, თვითონაც მიხვდება ყველაფერს, მსაჯებიცა და სპორტსმენებიც გაუძლებენ, ესენიც გადმთიელნი ხომ არ არიან, მიჩვეულნი არიან... ასე რომ, საბოლოოდ ისევ ცხენოსნობა ზარალდება...

ისე კი, ვიმეორებთ, ჩატარებული ასპარეზობის ხასიათი, სპორტული დონე ნამდვილად იმსახურებდა მეტ ყურადღებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრივ. რა დასამალია, რომ დღეს საერთო ამიერკავკასიური დიდი სპორტული ღონისძიება მხოლოდ საქართველოში თუ ჩატარდება! — ესეც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. დიდი ოლიმპიური მოღვაწის პიერ დე კუბერტენის ოდის სიტყვები — „სპორტო, შენ ხარ მშვიდობა... შენ აჩვევ ათასი ენის, ათასი ტომის ახალგაზრდებს ერთმანეთის პატივისცემას...“ — ყველა სპორტულმა მუშაკმა აბსტრაქტულ მოწოდებად კი არ უნდა აღიქვას, არამედ თავის პირად სამუშაოს, კონკრეტულ დარგს უნდა დაუკავშიროს .

ნოდარ ეგრალიძე.

რედაქციისაგან: მადლობას მოვახსენებთ ავტორს პრინციპული, საქმის ცოდნით, მაღალ პროფესიულ დონეზე მომზადებული პუბლიკაციისათვის. ვიმედოვნებთ, რომ ავტორის შენიშვნებს, რომელიც კეთილი სურვილებითაა ნაკარნახევი, ამჟამად დუმილით არ შეხვდებიან ახინი, ვიხაც მათი მოგვარება ევალება.

მედლებიც ბევრი ჩამოერეს

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის წინ ჩვენი ჭაბუკი სამბისტებიც სხვების მსგავსად ემზადებიან და სხვადასხვა ტურნირებზე თანატოლებთან შეხვედრებში ამოწმებენ თავიანთ მზადყოფნას.

სულ ახლახანს მეტად ხალხმრავალი ტურნირი გაიმართა ლატვიის ქალაქ ლიეპაიაში, სადაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, კიშინიოვის და სხვა ქალაქებისა და რესპუბლიკების გუნდებთან ერთად იასპარეზეს საქართველოს ჭაბუკმა (1973-1974 წწ. დან) სამბისტებმაც. საქართველოს ნაკრები ცალკე გუნდად გამოდიოდა, ხოლო ასევე ცალკე განაცხადით, შეჯიბრებაზე დაუშვეს ქარელელი მოჭიდავეებიც. სხვათა შორის, ამ რაიონში ცოტა ხნის წინათ გაიხსნა სამბისტთა ჯგუფები, რომლებმაც თავიანთი სპონსორების — მეგოცვრეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობის — დიდი მხარდაჭერით აშკარა წარმატებებს მიაღწიეს.

ლიეპაიაში ჩვენს სპორტსმენებს დიდი გამარჯვება ხვდათ წილად, მათ აშკარა უპირატესობით მოიგეს გუნდური პირველობა, ხოლო 13 წონაში გათამაშებული პირველი ადგილებიდან შვიდში უძლიერესნი იყვნენ. გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. საქართველო — 65 ქულა; 2. ესტონეთი — 57; 3. მოსკოვი — 53.

პირად პირველობაში გაიმარჯვეს თბილისელებმა: გია ალექსიძემ (40 კგ), მიხეილ აბაშიძემ (45), თამაზ წამალაიძემ (51), ბესიკ სინჯარაძემ (68), ქუთაისელებმა — გიორგი გოჩელაშვილმა (48) და ნიკო ნიკოლაძემ (+78), აგრეთვე ქარელის გუნდის სახელით მოსაპარეზე ილია ქოთელაშვილმა (42 კგ).

მეორე ადგილებზე გავიდნენ: ქუთაისელი ლევან ალფაიძე (51), თბილისელი ალუდა ჯიმშიტაშვილი და ქარელელი გელა უმეკაშვილი (59).

გარდა ამისა, ჩვენი მოჭიდავეების წილად მოდის ოთხი ბრინჯაოს მედალიც, რომლებიც დაიმსახურეს თბილისელებმა: თემურ ოდიშვილმა (51), ვახო არაბულმა, გია ნუცუბიძემ (ორივე — 78 კგ) და გია კოლასონიამ (73 კგ, ქარელი).

საქართველოს გუნდის წევრებმა საგანგებო პრიზებიც მიიღეს, ილია ქოთელაშვილს გადაეცა ჯილდო ყველაზე ვაჟკაცური ჭიდაობისათვის, ხოლო ქუთაისელ ნიკო ნიკოლაძეს — ყველაზე მეტი წმინდა მოგებებისათვის.

ჩვენი გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა: თენგიზ არაბულმა (უფროსი მწვრთნელი), ელიზბარ ბიგანიშვილმა, ფრიდონ ჩიტაშვილმა და ქარელელმა კახაბერ ხარატიშვილმა.

• • •

სურათზე: ლიეპაიის ტურნირში გამარჯვებული საქართველოს ჭაბუკ სამბისტთა გუნდი.

ვანელთა გუნდის სახელით

საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობს ვანის ჭიდაობის სპორტული სკოლა. ჭაბური ძიუდოისტები, სამბისტები, თავისუფალი სტილის მოჭიდავეები სულ უფრო და უფრო წარმატებით ასპარეზობენ რესპუბლიკურ თუ საკავშირო ტურნირებზე.

სულ ახლახანს მოსკოვში გამართულ ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირზე გუნდურ ჩათვლაში ვანელები მეორე ადგილზე გავიდნენ, ხოლო პირად შეჯიბრებაში რამდენიმე მედალი მოიპოვეს:

45 კგ წონაში გაიმარჯვა №2 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა თამაზ ბელთაძემ, მეორე ადგილები დაიკავეს მისმა თანაგუნდელებმა გიორგი ბაკურაძემ (53) და ვლადიმერ მინაშვილმა (75). ამავე წონაში მესამე ადგილზე გავიდა გოჩა თუთბერიძე. გარდა ამისა, პრიზი ჭიდაობის საუკეთესო ტექნიკისათვის გადაეცა თამაზ ბელთაძეს. ვანელთა გუნდი საასპარეზოდ მოამზადა მწვრთნელმა ნუგზარ მანგაძემ.

ვანელებმა შემდეგ ქალაქ ბობრუისკში გამართულ სამბისტთა შეჯიბრებაში იასპარეზეს და კვლავ წარმატებას მიაღწიეს. პირველი ადგილები დაიკავეს: თამაზ ბელთაძემ, ედუარდ ხურციძემ, ზურაბ მინაშვილმა, გიორგი ბაკურაძემ. გოჩა თუთბერიძე და გიზო ტყეშელაშვილი მეორე ადგილებზე გავიდნენ, მინდია ძაგნიძე, სერგო გიორგაძე და მალხაზ მაჭარაძე — მესამეზე.

ამავე დროს როსტოვში საასპარეზოდ იყო ვანის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდი, რომელსაც გიზო ტრაპაიძე ხელმძღვანელობდა. როსტოვის ტურნირზე პირველობა ორმა ვანელმა ფალავანმა მოიპოვა: მ. მხეიძემ (29 კგ) და თ. მინაშვილმა (50 კგ). აღსანიშნავია, რომ მხეიძე ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავეთაც აღიარეს. შეჯიბრების პრიზიორები გახდნენ აგრეთვე მ. ტყვშელაშვილი და დ. დვალიშვილი.

თავისუფალი სტილის ნორჩ მოჭიდავეთა ტურნირი როსტოვის ოლქის ქალაქ შახტინსკშიც გაიმართა. იქ კი ვანელმა სპორტსმენებმა საში მეორე ადგილი დაიმსახურეს — კახა მახარეიშვილმა, მამუკა ჯულაყიძემ და თამაზ დვალიშვილმა.

ბოლოს კი გვინდა ვანელ მოჭადრაკეთა და მოშაშეთა სარაიონო პირველობის შედეგები გაცნობოთ. ეს ასპარეზობა კარგად და საინტერესოდ ჩატარდა, რაშიც რაიონის სახალხო განათლებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაკთა გარდა დიდი წვლილი მიუძღვის ადგილობრივი საჭადრაკო კლუბისა და სკოლის დირექტორს გურამ მაჭავარიანს.

მოშაშეთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ძულუხის საშუალო სკოლის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ტურფა ხურციძე, რიჩარდ ვაშაყმაძე და ალექსანდრე დვალიშვილი. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მთისძირისა და ბზვანის საშუალო სკოლის მოსწავლეები.

მოჭადრაკეთა შორის გაიმარჯვეს ტობანიერის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, შემდეგ მოდიან ვანის №1 საშუალო სკოლისა და მთისძირის გუნდები. ისიც უნდა ითქვას, რომ რაიონის ზოგიერთმა სკოლამ თავი აარიდა შეჯიბრებას.

იორამ ნიკოლეიშვილი.
„ლელოს“ კორ.

100 და 64 უჯრაზე შაში

ჭადრაკის სახახლეში დამთავრდა საქართველოს პირადი პირველობა ჭაბუკთა შორის საერთაშორისო და 64 უჯრიან შაშში.

საერთაშორისო შაშში პირველი ადგილი და საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა, თბილისის 133-ე სკოლის IX კლასის მოსწავლემ მამუკა ქავზნიაძემ. მან აბსოლუტურად ყველა მონაწილე დაამარცხა და 11 შესაძლებლიდან 11 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილი წილად ხვდა (9,5 ქულით) ი. ვასილიკს, ხოლო მესამე (8,5 ქულით) — ა. ქელდიშვილს.

64-უჯრიან შაშში პირველი ადგილი არავის დაუთმო ოსტატობის კანდიდატმა ალექსანდრე ურუშაძემ — თბილისის 51-ე სკოლის X კლასის მოსწავლემ — 9,5 ქულა 11 შესაძლებლიდან. მეორე ადგილი წილად ხვდა საგარეჯოელ მოსწავლეს კახა ნარეკლიშვილს — 9 ქულა 11 შესაძლებლიდან. ხოლო მესამე-მეოთხე ადგილები შესაბამისად გინაწილეს (8,5-8,5 ქულით) დათო ჭიკაიძემ და გია ჩივაძემ.

საქართველოს ჩემპიონები მ. ქავზნიაძე და ა. ურუშაძე 21 მარტიდან ჩაებმებიან საკავშირო პირველობაში უკრაინის ქალაქ ბენდერში.

ვლადიმერ კანდელაკი.
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ფეხბურთის მოყვარულები ცბადია, დაინტერესა საკავშირო და რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებულმა ცნობამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის იოზეფ ბლატერის მოსკოვში მოსალოდნელი ჩამოსვლის თაობაზე. ი. ბლატერი 14 თებერვალს მოსკოვს ჩამოფრინდა, გენერალურმა მდივანმა მოინახულა განთქმული ფეხბურთელი ლევ იაშინი, რომელიც ახლახან სოციალისტური შრომის გმირი გახდა, შემდეგ შეხვდა სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარეს ნ. რუსაკს, 6 საათზე საკავშირო სპორტსახკომის სპეციალურ მოსალაპარაკებელ ოთახში შედგა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციისა და საქართველოდან საგანგებოდ ჩასული სამთავრობო დელეგაციის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ფიფა-ს გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი, ფიფა-ს აღმასკომის წევრი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პაბლო პორტა, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი, ამავე ფედერაციის საერთაშორისო კომისიის წარმომადგენელი ლევ ზახაროვიჩი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა ლორთქიფანიძე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი ოთარ წეროძე, თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი. ამ შეხვედრის მიწურულს მოხერხდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გივი გუმბარიძის აქტიური ჩარევა.

საქართველოს დელეგაციის წევრებმა შეარჩინეს ... ნეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილება რესპუბლიკის გუნდების მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის, დამოუკიდებელი ფედერაციის ჩამოყალიბების თაობაზე და ფიფა-ს ოფიციალური წარმომადგენლობის წინაშე დასვეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხი.

მომავალი ჩვენია!..

იოზეფ ბლატერის პრესკონფერენცია

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის ვიზიტს მოსკოვში მოუთმენლად ველოდით. ი. ბლატერმა ამას წინათ განაცხადა, რომ სურვილი აქვს მოსკოვში ჩამოვიდეს და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდების ზოგიერთი პუნქტი განუმარტოს სსრ კავშირის საფეხბურთო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისთვის 15 მარტს გაიმართა სსრ კავშირის სპორტსახკომის დიდ დარბაზში, სადაც ეს ორგანიზაცია კოლეგიის სხდომებს ატარებს. სიტყვებით გამოვიდნენ თვით ი. ბლატერი, პ. პორტა, პრესკონფერენცია მიჰყავდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს ვიაჩესლავ კოლოსკოვს.

ცენტრალურმა გაზეთებმა 16 მარტს „რატომღაც“ ასე დაასათაურეს პრესკონფერენციის მასალები: „კულისებს მიღმა თამაშები ფეხბურთის გარშემო“ („პრავდა“), „ფიფა პოლიტიკაში არ ერევა“ („სოვეტსკი სპორტი“), „ფიფა-ს სიცხადე შეაქვს“ („რაბოჩაია ტრიბუნა“) და სხვა.

პრესკონფერენციის დასაწყისს იოზეფ ბლატერმა ასეთი განცხადება გააკეთა:

— კმაყოფილი ვარ, რომ კვლავ მოსკოვში ჩამოვედი, მინდა მივულოცო სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას ის შესანიშნავი მიღწევები, რომლებიც მისმა გუნდებმა მოიპოვეს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება სსრ კავშირის ჯაბუკთა ნაკრებს, რომელმაც 1987 წელს კანადაში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, ერთი წლის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები ევროპის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ, შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს სეულის ოლიმპიურ თამაშებზე, გარდა ამისა, საბჭოთა ნაკრებმა დამაჯერებლად გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში და იტალიის ფინალურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ჩვენ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გავმართეთ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან, სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარე ნ. რუსაკთან და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დელეგაციასთან.

შეიძლება ითქვას, რომ უმთავრესად საქმე გვქონდა ორ ძირითად პრობლემასთან — თქვენს ქვეყანაში საფეხბურთო ლიგების კავშირის შექმნასთან და იმ მოძრაობასთან, რომელიც მიმართულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებლობისადმი.

ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც თავის რიგებში 166 ეროვნულ ფედერაციას და ასოციაციას აერთიანებს, შეუძლია ნაყოფიერად და ეფექტურად იმუშაოს მხოლოდ მაშინ, თუ ისინი პატიოსნად, შეუბღალავად დაიცავენ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ძირითადი იურიდიული დოკუმენტების ყველა პუნქტს, მის წესდებას და რეგლამენტს. ამ დოკუმენტებში გარკვევით და ზუსტად წერია, რომ მხოლოდ ერთი ფეხბურთის ფედერაცია განაგებს თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე საფეხბურთო ცხოვრებას და საერთაშორისო კავშირებსაც მხოლოდ ის ახორციელებს.

სიტუაცია ერთობ სერიოზულია და მე მინდა, რომ თქვენ ამის შესახებ კარგად იცოდეთ. ჩვენ მოსკოვში ჩამოვედით არა იმიტომ, რომ ბრალი დავდოთ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას, არამედ დახმარება გავუწიოთ მას.

საქართველოს დელეგაციასთან შეხვედრისას ჩვენ მას განვუმარტეთ-თუ რატომ არ შეუძლია ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას უზრუნველყოს მისი, როგორც დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო აღიარება. ფიფა-ს წევრობის საკითხის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ. ცალკე საფეხბურთო პირველობის ჩატარება არ არის ფიფა-ს ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობის გარანტია. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის დებულების თანახმად ინტერნაციონალური ურთიერთკავშირების საკითხები, საბჭოთა გუნდების უცხოეთში მგზავრობის პრობლემები, ფეხბურთელთა უცხოეთის კლუბებში გადასვლის საქმე და ა. შ. უშუალოდ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის იურისდიქციის გამგებლობაში იმყოფება. ჩვენ ყველანი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოჯახი ვართ და მშვიდობიანად და ურთიერთგაგებით უნდა მოვეპყრათ ერთმანეთს.

ფეხბურთის ფედერაციაში სწორედ ამ დროს მოვიდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ვილნიუსის „ჟალგირისი“ თავს იკავებს სსრ კავშირის ჩემპიონატში შემდგომი მონაწილეობისგან.

როცა ი. ბლატერს შეატყობინეს, რომ „ჟალგირისის“ საკავშირო ჩემპიონატიდან გასვლის თაობაზე გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღეს ლიტვის სპორტსახკომმა და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ საქართველოს ფეხბურთის წარმომადგენლებთან მას საგანგებო საუბარი ჰქონდა, მაგრამ ლიტვიდან მას არავითარი ოფიციალური ცნობა არ მიუღია.

ერთ-ერთი კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება იტალიაში, ი. ბლატერმა უპასუხა:

— ეს უკვე ნაღდი ფეხბურთია, აქ უფრო ნათლად მივიწევთ წინ, ვიდრე პოლიტიკურ სფეროში. იტალიელები თავიანთი ნატურით ხელოვანნი არიან, ამიტომ თავიანთ ქმნილებებს ბოლო წუთებში ამთავრებენ. მზადაა პრაქტიკულად ყველა 12 სტადიონი, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის თამაშები ჩაივლის. პირველად მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში სტადიონებზე მხოლოდ დასაჯდომი ადგილები იქნება, ეს კეთდება უსაფრთხოების მიზნით. ამ სტადიონების უმეტესობა ქალაქების ცენტრში მდებარეობს, ამიტომაც სატრანსპორტო პრობლემა ძალიან გვაწუხებს. თამაშების დღეებში ამ ქალაქებში გარკვეული სიძნელეები გვექნება. საერთოდ კი, უნდა ვთქვა, რომ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია.

რედაქციისაგან: მოსკოვში გამართული პრესკონფერენციის შედეგებით იხე არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ბრძოლა საერთაშორისო საფეხბურთო ფედერაციაში გასაერთიანებლად ამით მთავრდება. პირიქით, ეს ალბათ ნიადაგის მოსინჯვა იყო. ამას ვამბობთ თუნდაც იმიტომ, რომ ი. ბლატერი მოსკოვს ჩამოვიდა, როგორც კერძო პიროვნება. მას შემდეგ, რაც ჩვენი საფეხბურთო ფედერაცია იურიდიულ სტატუსს მიიღებს, ფიფა-ში ოფიციალურად უნდა დავსვათ საკითხი და სათანადო არგუმენტებითაც უნდა განვამტკიცოთ ჩვენი მოთხოვნა. მანამდე კი ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ ვიღვწით. მომავალი ჩვენია!

საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაცია გაცნობებთ, რომ 19 მარტს, 15 საათზე საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობაში (ი. ჭავჭავაძის პრ. 49) გაიმართება ფეხბურთში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე მეორე ჯგუფის გუნდების მწვრთნელთა თათბირი, მოწვეული არიან აგრეთვე რეგიონების სპორტკომიტეტების ხელმძღვანელები, სპორტული კლუბების პრეზიდენტები და მსაჯები.

პირველ მატჩში — ფრე

14 მარტს სიმფეროპოლში გაიმართა ახალგაზრდა ფეხბურთელთა (21 წლამდე) ევროპის ჩემპიონატის პირველი მეოთხედფინალური მატჩი, სსრ კავშირის ფეხბურთელებმა აქ მიიღეს გფრ-ის ნაკრები.

თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1. პირველი ბურთი ა. ბალმა გაიტანა საკუთარ კარში მე-5 წუთზე, შესვენების შემდეგ ი. შალიმოვმა შეძლო თანაბრობის აღდგენა.

ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა 20 მარტს შედგება გერმანიაში.

გაიმართა აგრეთვე ევროპის ჩემპიონატის სხვა მეოთხედფინალური მატჩებიც. პრაღაში ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარია და ჩეხოსლოვაკიის გუნდები, გაიმარჯვეს შვედებმა 2:1. იუგოსლავიელმა ფეხბურთელებმა ზაგრებში დაამარცხეს ბულგარეთის ნაკრები — 2:0.

სასამართლო აპრილში შედგება

ჰოლანდიის ცნობილი საფეხბურთო კლუბის „აიაქსის“ ხელმძღვანელობას თავისებური „შავი სალარო“ ჰქონდა დაწესებული და კანონის დარღვევით უხდიდა ფულს ფეხბურთელებს. კლუბის წევრები ლერბიუ, არნესენი, ჰესელინი, ენსენი და სხვები მხილებული არიან 2 მილიონზე მეტი გულდენის უკანონო მიღებაში.

ამ ფინანსური მაქინაციებისთვის, როგორც ჰოლანდიაში გამოცხადდა, სასამართლო წლეულს აპრილში შედგება.

სიურპრიზი ფრანგულ ფეხბურთში

საფრანგეთის საფეხბურთო თასის გათამაშებაში სენსაცია მოხდა: მეორე დივიზიონის ორმა კლუბმა — „ავინიონმა“ და „ვალანსიენმა“ გათამაშების მეექვსმეტედფინალში ბრძოლას გამოთიშეს უმაღლესი ლიგის ცნობილი გუნდები „ბრესტი“ და „ტულონი“.

„ავინიონმა“ წინა ტურში დამარცხება აგემა „მონაკოს“, ამჯერად კი „ბრესტი“ მისივე მინდორზე დაამარცხა ანგარიშით 1:0. ასევე მეტოქის მინდორზე გაიმარჯვა „ვალანსიენმა“. „ტულონთან“ შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0, დამატებითი 11-მეტრიანებით გაიმარჯვა „ვალანსიენმა“ — 6:5.



ჭადრაკის მერიდიანებზე

ორი ლიდერი

ტყიბულის საჭადრაკო-საშაშო კლუბში დაიწყო საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი (პირველი ლიგა). შეჯიბრებაში, რომელიც წრიული სისტემით ტარდება, მონაწილეობს 17 მოჭადრაკე. წილისყრის შედეგად მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ — ოსტატობის კანდიდატები: 1. დავით ფორჩხიძე (ტყიბული), 2. ისიდორე გოგეშვილი, 3. ფელიქს მელქონიანი (ორივე — ბათუმი) 4. აკაკი იაშვილი (თბილისი), 5. ნიკოლოზ ლეკვეიშვილი (სამტრედია), 6. მიხეილ კეკელიძე (თბილისი), 7. ოსტატი ჯემალ ბერაძე (წყალტუბო). ოსტატობის კანდიდატები: 8. ისააკ მანაშეროვი (ხაშური), 9. ზურაბ იგრიაშვილი (რუსთავი), 10. შოთა კუპუხიძე (ქუთაისი), 11. რომან სიჭინავა (სენაკი), 12. ალექსი ლაზარაშვილი (თბილისი), 13. ხვიჩა სუპატაშვილი (ქუთაისი), 14. კახა შალამბერიძე (თბილისი), 15. ნუკრი მანაგაძე (ქუთაისი), 16. გივი გოგიჩაიშვილი, 17. იანის პოპოვი (ორივე — თბილისი).

ამრიგად, ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით დაწინაურდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი ალექსი ლაზარაშვილი და თბილისის უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი კახა შალამბერიძე.

ტურნირში პირველ სამ ადგილზე გასული მოჭადრაკეები საქართველოს პირველობის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას მოიპოვებენ.

ვახილ ვაშაკიძე,
ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.
ტყიბული.

კარპოვის მეორე გამარჯვება

მალაიზიის დედაქალაქ კუალალუმპურში მიმდინარე პრეტენდენტ ვაჟთა ფინალური მატჩის გადადებული მეოთხე პარტია ანატოლი კარპოვსა და ჰოლანდიელ იან ტომანს შორის დამთავრდა საბჭოთა დიდოსტატის გამარჯვებით და ახლა იგი წინაა ანგარიშით 3,5:1,5.

შეგახსენებთ, რომ რეგლამენტით მატჩში დაგეგმილია 12 პარტია, მაგრამ თუ რომელიმე მონაწილე ვადამდე მოაგროვებს 6,5 ან 7 ქულას, შეჯიბრება შეწყდება, გამოცხადდება გამარჯვებულად და, ბუნებრივია, მსოფლიო ჩემპიონთან გარი კასპაროვთან თამაშის უფლებასაც მოიპოვებს.

უველაფერს ბოლო ტური გადაწყვეტს

დიდოსტატთა ნაკრები გუნდების მატჩ-ტურნირი, რომელიც ისლანდიის დედაქალაქში მიმდინარეობს, დასასრულს უახლოვდება. მეხუთე ტური უიღბლო გამოდგა ლიდერებისთვის — ერთნაირი ანგარიშით — 4:6 — დამარცხდა საბჭოთა ნაკრები დიდ ბრიტანელებთან, ხოლო აშშ-ის მოჭადრაკეები — ჩრდილოეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან.

გთავაზობთ V ტურის ტექნიკურ შედეგებს ცალკეულ დაფებზე. სსრ კავშირი — დიდი ბრიტანეთი: იუსუპოვი-შორტი 0,5:0,5, ივანჩუკი-სპილმენი 0,5:0,5, ეინგორნი-ნანი 0:1, მაკარიჩევი-ხოჯსონი 0,5:0,5, გურევიჩი-ადამსი 0:1, დოლმატოვი-კინგი 0:1, აზმაიფარაშვილი-შუბა 0:1, პოლუგაევსკი-მესტელი 1:0, ტუკმაკოვი-ჰორვუდი 0,5:0,5, დრეევილევიტი 1:0.

აი, რა მდგომარეობაა უკანასკნელი, VI ტურის წინ: სსრ კავშირი — 26,5, დიდი ბრიტანეთი — 26, აშშ — 25 და ჩრდილოეთის ქვეყნები — 22,5.

ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან: სსრ კავშირი-აშშ, დიდი ბრიტანეთი-ჩრდილოეთის ქვეყნები.

მსოფლიო ჩემპიონი თამაშობს კოპენჰაგენში

მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა დანიის დედაქალაქში ჩაატარა ამხანაგური საჩვენებელი მატჩი ადგილობრივ დიდოსტატთან კურტ ჰანსენთან, რომელსაც საჭადრაკო წრეებში მიიჩნევენ ცნობილი ბენტ ლარსენის ღირსეულ მემკვიდრედ.

ჰანსენი კმაყოფილი უნდა იყოს მატჩის შედეგით (იგი მოიგო კასპაროვმა 1,5:0,5), ვინაიდან იგი დასაწყისში ოცნებობდა თუნდაც ნახევარი ქულის მოპოვებას მრისხანე მოწინააღმდეგესთან.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

მეორე ტაიმი — ოცი ქულით

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი.

მინსკი. ადგილობრივი რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდმა მოსკოვის „დინამოს“ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია პირველ ტაიმში, რომელიც ფრედ (51:51) დამთავრდა. შესვენების შემდეგ სტუმრებმა გააძლიერეს შეტევები და 20-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს — 109:89.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 მარტიხთვის

ცსკა	35	30	5	65
„დინამო“ (მ.)	37	28	9	65
„კალევი“ (ტალ.)	37	24	13	61
ვეფ (რიგა)	38	23	15	61
„ბუდველ.“ (კ.)	36	23	13	59
„სპარტ.“ (ლენ.)	38	18	20	56
„უალგ.“ (კაუნ.)	37	17	20	54
რტი (მინსკი)	39	12	27	51
„დინ.“ (თბილისი)	38	12	26	50
ასკ (ალმა-ათა)	31	18	13	49
„შახტ.“ (დონ.)	38	11	27	49
„ხტატიბა“ (ვილნ.)	40	6	34	46

დაზუსტებას საჭიროებს

ზამოგცევლოგა „სოვეტსკაია როსია“ ამზადებს ცნობილი საბჭოთა კალათბურთელის, ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის სერგეი ბელოვის წიგნს „თამაშის ყველა კუთხე“, რომლის ნაწყვეტიც დაიბეჭდა ჟურნალ „სპორტივნიე იგრაში“ (1990 №1).

ს. ბელოვი დიდი სიამოვნებით და თბილად იხსენებს თბილისს და აქ ჩატარებულ მატჩებს. ხაზს უსვამს ემოციურ მაყურებელს, რომელიც ჩინებულად ერკვეოდა თამაშის ნიუანსებში და თავდავიწყებით უჭერდა მხარს მშობლიურ გუნდს. „მიყვარდა თამაში თბილისის სპორტის სასახლეში, მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელთა ეს დიდი აუდიტორია ყოველთვის ცსკა-ს წაგების მოსურნე იყო“. ასეთი ექსტრემალური ვითარება მომწონდა და ყოველთვის ძლიერად ვთამაშობდი. ს. ბელოვი ამ შემთხვევაში სულაც არ ტრაბახობს და მისი ბრწყინვალე თამაში არაერთხელ ყოფილა თბილისელთა დამარცხების მიზეზი. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელგანქმულ სპორტსმენს მეხსიერება ოდნავ ღალატობს, როდესაც ამბობს, რომ „12 წლის მანძილზე არმიელები თბილისში მხოლოდ ერთხელ დავმარცხდით“. სინამდვილე კი ასეთია, „დინამომ“ ზედიზედ ორჯერ სძლია ცსკა-ს 1969 წლის 15-16 იანვარს — 72:69, 84:83. შემდგომი გამარჯვება „დინამომ“ მოიპოვა 1972 წლის 16 დეკემბერს — 76:74. ეს მატჩი საუცხოოდ ითამაშა იური ძიძიგურმა (21 ქულა). ჩვენი აზრით, ეს იყო მისი საუკეთესო თამაში. ლამაზი გამარჯვება მოიპოვა „დინამომ“ 1974 წლის 18 ნოემბერს. ვ. ი. ლენინის სახ. დარბაზში —91:86 უაღრესად დაძაბულ თამაშში ძნელი გამარჯვება ხვდა წილად „დინამოს“ მომდევნო წელს, 1975 წლის 10 დეკემბერს — 81:80. ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო იური პულავსკი. ბოლო გამარჯვება კი სერგეი ბელოვის ცსკა-სთან „დინამომ“ მოიპოვა 1978 წლის 7 მარტს — 127:118. ამ მატჩის გმირები იყვნენ ნიკოლოზ დერიუგინი (49 ქულა) და მიხეილ ქორქია (29). გაზეთიდან არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს გამარჯვებები ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული კალათბურთის ისტორიაში.

მერაბ კალანდაძე.

ევროპის საკლუბო ტურნირებზე

ფლორენცია. აქ გაიმართა ევროპის ‘ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. საპატიო ჯილდოს პირველად დაეუფლა იტალიის კლუბი „კნორი“ (ბოლონია), რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში თასის ახლანდელი მფლობელი მადრიდის „რეალი“ დაამარცხა — 79:74 (48:37).

ფავორიტად ამ შეხვედრაში მადრიდელი კალათბურთელები ითვლებოდნენ, თუმცა იტალიელებსაც ჰქონდათ გარკვეული უპირატესობა, „საკუთარი კედლების“ სახით. მაგრამ „რეალს“ აკლდა ლიდერი — ხოსე ბირიუკოვი, რამაც საგრძნობლად შეასუსტა გუნდის თამაში თავდასხმაში. მასპინძლების გამარჯვებაც ალბათ, მნიშვნელოვანწილად, ამ ფაქტმა განაპირობა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბრწყინვალედ მოქმედებდა ამ დღეს „კნორის“ თავდამსხმელი, ამერიკელი რიჩარდსონი, რომელმაც თავის გუნდს 29 ქულა შესძინა. ესპანელთაგან ყველაზე აქტიური ფრედერიკი იყო — 21 ქულა.

პეზარო (იტალია). ცსკა-ს კალათბურთელებმა განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი წააგეს ადგილობრივ „სკავოლინისთან“ — 94:107 (32:57) და გამოეთიშნენ კორაჩის თასის გათამაშებას. ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ: ცსკა-ში — გუსევი (23 ქულა), ტარაკანოვი (20 ქულა), ბერეეფნოი (17 ქულა), „სკავოლინიში“ — გოსტა (21), დეი და ბოესო (16-16 ქულა თითოეულს).

ტელეფაქსი - ფაქსიმილე



პარიზი. „ტურ დე ფრანსისა“ და ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის თარიღები ერთმანეთს რომ არ დაემთხვეს პოპულარული ველოსრბოლის ორგანიზატორებმა წლევანდელი შეჯიბრების ადრე ჩატარება გადაწყვიტეს. „ტურ დე ფრანსის“ სტარტი შედგება 6 ივლისს ლიონში. ფინიშს კი ველოსრბოლა გადაკვეთს პარიზში, 28 ივლისს.

ლონდონი. ადგილობრივმა პოლიციამ ცილი დასწამა ფერადკანიან მძლეოსანს ლინფორდ კრისტის მანქანის გატაცებაში და ამის გამო ერთი დღით დააკავა. კრისტიმ ლონდონის პოლიციის სამმართველოს სასამართლოში უჩივლა და ქონლიანად გაიმართლა თავი. სასამართლომ პოლიციას დიდი ჯარიმა დააკისრა.

პარიზი. მსოფლიოს გაერთიანებულ ნაციონალური ნაკრებ-მატადორელ მოგზაურმა ტიტეან ლამაზუმ საფრანგეთის პორტი ლე-საბლ-ოლონი ნუთი თვის წინ, 26 ნოემბერს დატოვა. 13 მარტს მან წარმატებით დაამთავრა მოგზაურობა.

ლონდონი. ბადმინტონისტთა ინგლისის ლიგა ჩემპიონატში ელენა რიბკინამ ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა. ორ-ორი მოგება აქვთ ანდრეი ანტროპოვს და ვლადა ჩერნიავსკაიას. სხვა საბჭოთა ბადმინტონისტები ასპარეზობას გამოეთიშნენ.

ინგლისი დედოფალმა ელისაბედ II-მ ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დაჯილდოვა ქვეყნის მოღვაწეთა ჯგუფი. იქ ორი სპორტსმენია — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სებასტიან კოე და ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი ბრაიან რობსონი.

მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი მატს ვილანდერი ამერიდან დასავლეთგერმანულ კლუბ „როტვაისის“ (ჰაგენი) წევრი გახდა და სისტემატურად მიიღებს მონაწილეობას ბუნდესლიგის პირველობაზე. ამავე კლუბში ჩაირიცხა კიდევ ერთი შვედი ჩოგბურთელი ნიკლას კროონი.

შეხვედრა კალათბურთის პატრიარქთან

გორისლავ სტანკოვიჩი ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ფიგურაა თანამედროვე კალათბურთში. ახალგაზრდობაში იგი იუგოსლავიის „პარტიზანისა“ და „ცრვენა ზვეზდას“ ღირსებას იცავდა. ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 36 მატჩი ჩაატარა. 1976 წელს სტანკოვიჩი კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ მდივნად აირჩიეს და მას შემდეგ მტკიცედ, მაგრამ კოლეგიალურად ხელმძღვანელობს ორგანიზაციას, რომელშიც 178 ქვეყნის 250 მილიონზე მეტი კალათბურთელია გაერთიანებული.

ამჟამად იგი 64 წლისაა, თავისუფლად ფლობს შვიდ უცხო ენას, რაც კოლეგებთან კონტაქტში ეხმარება. სტანკოვიჩზე ამბობენ, რომ კალათბურთის სამეფოს ერთპიროვნული მეუფეაო, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. მას არც ამერიკის საუნივერსიტეტო კალათბურთი ემორჩილება და, მით უმეტეს, არც დევიდ სტერნის ორგანიზაცია — ამერიკის პროფესიული კალათბურთელთა ასოციაცია (ნბა).

ამას წინათ ფრანგული სპორტული გაზეთ „ეკიპის“ კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა გენერალურ მდივანს. გთავაზობთ ამ საუბრის შინაარსს ოდნავი შემოკლებით:

● როგორც ირკვევა, მოთამაშეთა ხიმრავლით კალათბურთი პირველ ადგილზე გასულა მსოფლიოში?

— შესაძლოა, მაგრამ ჩვენი ორგანიზაცია არც ერთ სხვა ფედერაციას არ ეჯიბრება ამაში და ამიტომ ამ ფაქტს ყურადღებას არ ვაქცევთ.

● მაგრამ ამის გამო თქვენს ფედერაციას ხომ საგანგებო ადგილი უჭირავს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში?

— რა თქმა უნდა, მოხარულნი ვართ, რომ სოკი კალათბურთს სპორტის მნიშვნელოვან სახეობად მიიჩნევს.

● იქნებ უფრო დააზუსტოთ, რაში გამოიხატება თქვენდამი საგანგებო ყურადღება?

— ჩვენმა ორგანიზაციამ მიიღო ე. წ. „სამი წლის წესი“, რაც იმას ნიშნავს, რომ კალათბურთელი სხვა ქვეყანაში თამაშის უფლებას სამი წლის „აკლიმატიზაციის“ შემდეგ იღებს. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩვენი გადაწყვეტილება უსიტყვოდ მიიღო.

● მაგრამ შეუძლებელია კალათბურთს არ ჰქონდეს პრობლემები?

— რა თქმა უნდა, პრობლემები გვაქვს და თავსაყრელადაც. მათში, შეიძლება პარადოქსულადაც მოგეჩვენოთ, უმთავრესია კალათბურთის განვითარების საკითხი. ეს იმიტომ ხდება, რომ ყველა ეროვნული ფედერაციის საქმიანობა ერთნაირად კარგად არ არის ორგანიზებული და ბევრი მათგანი დროის მოთხოვნებს ჩამორჩება. ზოგიერთ ასეთ ქვეყანაში ეროვნული ჩემპიონატიც კი არ ტარდება. ამიტომ ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობთ ამ ქვეყნებს დავეხმაროთ.

● სხვა რა პრობლემებზე შეგიძლიათ გაამახვილოთ ყურადღება?

— არ გვყოფნის არც მწვრთნელები და არც მსაჯები. წარმოიდგინეთ, რომ მათი მომზადება უფრო ძნელია, ვიდრე თავად კალათბურთელებისა.

● რას აკეთებენ ამ დროს ეროვნული ფედერაციები თავიანთი დოლარებით?

— პრობლემები, თქვენ წარმოიდგინეთ, მათაც ყოფნით.

● როგორ ფიქრობთ, მიიღებენ თუ არა ნბა-ს მოთამაშეები მონაწილეობას მხოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში და ბარსელონის ოლიმპიადაში?

— ეს ამერიკელების პირადი საქმეა, ჩვენ კი, ცხადია, მივესალმებით ამ ტურნირებში ყველა უძლიერესი კალათბურთელის თამაშს.

● თუ სხვა წინააღმდეგობა არ არსებობს, პროფესიონალები, ალბათ, ნელ-ნელა მოიკიდებენ ფეხს ოლიმპიადებში.

— არსებობს კიდევ ერთი დაბრკოლება. ნბა ყოველი მატჩის ტელეტრანსლაციაში თავის წილ შემოსავალს ითხოვს.

● ევროპაში პროფესიონალთა „შემოსევა“ ხომ არ გამოიწვევს ევროპის პროფესიული ლიგის შექმნას?

— რა თქმა უნდა გამოიწვევს. ეს ნორმალურ პროცესად მიმაჩნია. მაგრამ ევროპის საკალათბურთო სტრუქტურა დღეს საამისოდ მზად არ არის. ჯერჯერობით პროფესიონალებისადმი დაინტერესებას იჩენენ იტალია, ესპანეთი და საფრანგეთის რამდენიმე კლუბი, ეს კი ლიგის შესაქმნელად არ არის საკმარისი.

● დღეს სპორტში მწვავედ დგას დოპინგის საკითხი. ამის შესახებ რა აზრისა ხართ?

— ჭარტიას ხელი არ მოვაწერეთ, მაგრამ დოპინგის წინააღმდეგ მკაცრად ვიბრძვით და, საჭიროების შემთხვევაში, სანქციებსაც გამოვიყენებთ.

● იყენებენ თუ არა დოპინგს კალათბურთელები?

— არა მგონია, ვინაიდან შედეგს ამით ვერ გაიუმჯობესებ. სამაგიეროდ, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეთ ნარკომანიას. ეს ჩვენი მთავარი პრობლემაა და მასთან დაკავშირებით სპეციალურ კანონს ვამზადებთ.

● როგორც ჩანს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კალათბურთს შორის სხვაობა იზრდება პირველის სასარგებლოდ?

— საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას თუ არ მივიღებთ მხედველობაში ეს მართლაც ასეა. სოციალისტური ქვეყნები ჯერ კიდევ ვერ მიხვდნენ, რომ კალათბურთი არა მხოლოდ შეჯიბრებაა, არამედ სანახაობაც. სანამ კალათბურთს ღია მოედნებზე თამაშობდნენ უპირატესობა აღმოსავლეთის მხარეს იყო. ყველაფერი შეიცვალა, როცა კალათბურთი დარბაზებში გადავიდა, ერთ ასეთ მაგალითს მოვიყვან: ბულგარეთში ყველაზე დიდი დარბაზი 800 მაყურებელს იტევს. როგორ უნდა მიიზიდონ ასეთ პირობებში მაყურებელი? რა სანახაობის გამართვა შეიძლება 800-კაციან დარბაზში?

● გარდა ამისა, აღნიშნულ რეგიონში არ იწვევენ დასავლეთის კალათბურთელებს.

— ესეც დიდი ნაკლი გახლავთ. დასავლეთი ასეთ პრაქტიკას არ უგულებელყოფს და ამიტომ დაწინაურდა კიდეც.

● როგორი იქნება კალათბურთი 2000 წელს?

— არა მგონია ფეხბურთს გაუსწროს, მაგრამ ეს არც არის მთავარი. ყველა სპორტს თავისი სპეციფიკა აქვს და ამიტომ მათი შედარება შეუძლებელია. ფეხბურთს ღია ცის ქვეშ თამაშობენ, კალათბურთს — დარბაზებში. მაგრამ წარმოიდგინეთ, რა მოხდება კალათბურთელთა 100 ათასიანი დარბაზები თუ აშენდა?..

პროფესიული კრივის სენსაციები

მას შემდეგ, რაც ჯეიმს დუგლასმა ყველასათვის მოულოდნელად ნოკაუტით სძლია მიკ ტაისონს, ნიუ-იორკში (გამოქვეყნდა პროფესიული კრივის ისტორიაში 10 ყველაზე უფრო სენსაციური მატჩის ნუსხა, სადაც პირველად დასახელებული მოკრივეები არიან გამარჯვებულნი.

1. ჯეიმს კორბეტი — ჯონ სელივანი. ნოკაუტი 21-ე რაუნდში. ნიუ-ორლეანი, 1892 წელი. 2. ჯეს უილარდი — ჯეკ ჯონსონი. ნოკაუტი 26-ე რაუნდში. მარიანაო (კუბა), 1915 წელი. 3. ჯენ ტუნი— ჯეკ დემპსი: მსაჯებმა მეათე რაუნდის შემდეგ ქულებით გამარჯვება ტუნის მიანიჭეს. ფილადელფია, 1926 წელი. 4. ჯერსი ჯო უოლკოტი — ეზარდ ჩარლზი. ნოკაუტი მეშვიდე რაუნდში. პიტსბრო, 1951 წ. 5. ინგემარ იოჰანსონი — ფლოიდ პატერსონი ტექნიკური ნოკაუტი მესამე რაუნდში. ნიუ-იორკი, 1959 წელი, 6. კასიუს კლეი (მუჰამედ ალი) — სონი ლისტონი. ტექნიკური ნოკაუტი მე-7 რაუნდში. მაიამი, 1964 წელი. 7. ჯორჯ ფორმენი — ჯო ფრეზერი. ტექნიკური ნოკაუტი მე-2 რაუნდში. კინგსტონი (იამაიკა), 1973 წელი. 8. ლეონ სპინქსი — მუჰამედ ალი. მსაჯებმა მე-15 რაუნდის შემდეგ ქულებით გამარჯვება სპინქსს მიანიჭეს. ლასვეგასი, 1978 წელი. 9. მაიკლ სპინქსი — ლარი ჰოლმსი. მსაჯებმა 15 რაუნდის შემდეგ გამარჯვება ერთხმად სპინქსს მიანიჭეს. ლასვეგასი, 1985 წელი. 10. ჯეიმს დუგლასი — მიკ ტაისონი. ნოკაუტი მეათე რაუნდში, 1990 წ.

„სპორტპროგნოზის“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მე-9 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.881.640 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (19) მოგება 2.275 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (712) — 121 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (8.980) — 33 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 137.256 ვარიანტი. 13-0, 12-26, 11-378.

მე-9 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 24 მარტიდან 24 აპრილის ჩათვლით.

• • •

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მე-10 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.854551 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (11) მოგება 3.892 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (179) — 478 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1981) — 151 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 153.739 ვარიანტი. 13—0, 12—5, 11-67.

მე-10 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 31 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით.

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-10 ტირაჟების შედეგები.

სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.765.934 ვარიანტი. ექვსი ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (27) მოგება 2313 მანეთია, ოთხისთვის (1539) — 51, სამისთვის (30.985) —4.

საქართველოში: დაშვებულია 49.029 ვარიანტი. 6—0, 5—1 (თბილისი), 4—65, 3—814.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 18.229.922 ვარიანტი. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (77) მოგება 7.201 მანეთია, ოთხისთვის (12.327) — 76, სამისთვის (310.786) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 383.483 ვარიანტი. 5—0, 4—365, 3—9.255.

მე-10 და 1-დან მე-10 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 31 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „ბაროკე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08743